მედიცინა

# ბროწეული — ხილთა „მეფე“

*ბროწეული მეტად სასარგებლო მცენარეა, მისი კურკაც კი სამკურნალოა. ბროწეული ასტიმულირებს „ზარმაც“ კუჭ-ნაწლავს და უძვირფასესი ბროწეულის ზეთის წყაროა, რადგან მდიდარია ცხიმის გამხსნელი (ომეგა-3 და ომეგა-6) და E ვიტამინებით.*

ბიოქიმიკოსებმა ბროწეულის წვენში აღმოაჩინეს 15 ამინმჟავა, მათ შორის ექვსი, მხოლოდ ხორცშია. ნაყოფი შეიცავს 4 მნიშვნელოვან ვიტამინს: C ამაგრებს იმუნიტეტს, P — სისხლძარღვებს, $B_6$ — ნერვულ სისტემას, $B_{12}$ — აუმჯობესებს სისხლის წარმოქმნის პროცესს. მას აქვს შემკვრელი და მადეზინფიცირებელი თვისებები. ეს ნივთიერებები უფრო ბევრია ფოთლებსა და ხის ქერქში, ვიდრე მარცვლებში. გარდა ამისა, ამ ნივთიერებებს აქვს ანტისეპტიკური და ანტიბიოტიკური თვისებები, ამიტომაც მათი გამოყენება შეიძლება ინფექციური დაავადებების სამკურნალოდ.

ბროწეულის წვენი სასარგებლოა წყლულების ან დაბალი მჟავიანობით გასტრიტის დროს, მაგრამ არარეკომენდებულია მაღალი მჟავიანობის დროს, მავნებელია კბილის მინანქრისთვის, რადგან შეიცავს დიდი რაოდენობით ლიმონის მჟავას.

ტოქსინებისგან სისხლის გასაწმენდად წელიწადში 2-3-ჯერ 3 კვირის განმავლობაში სვით ბროწეულის წვენი. პირველ კვირას 1/2 ჩ/ჭ დღეში 3-ჯერ, მეორე კვირას — 2-ჯერ, მესამე კვირას — ჭამიდან ჭამამდე შუალედში დღეში ერთხელ.

— როგორც შარდმდენი და ნაღველმდენი საშუალება, მიიღეთ 1/3 ჩ/ჭ ბროწეულის წვენი დღეში ერთხელ.

— თუ მუცლის ჭიები გყავთ, ყოველ დღე მიიღეთ 30გ ბროწეულის დაფქული ქერქი ცხელი წყლით.

# მაგოთერაპია — თვალის ბუნებრივი, ეფექტური მკურნალობა!

მაგოთერაპია თვალის მკურნალობის ბუნებრივი, ანუ ფიზიოლოგიური მეთოდია. მაგოთერაპიის ავტორი არის **მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ამერიკისა და ევროპის სამეცნიერო აკადემიების ქმედითი წევრი, ევროპელ ოფთალმოლოგთა საბჭოს წევრი, თვალის კლინიკა „ახალი ტექნოლოგიები — მაგოს“ ხელმძღვანელი, ქ-ნი მაკა გოგიაშვილი.**

მეთოდის ფიზიოლოგიურობა, უსაფრთხოება და უვნებლობა, შესაბამისად ნებისმიერი გვერდითი მოვლენის, გართულების, რისკის ან ალერგიის გამორიცხვა მაგოთერაპიით მკურნალობის დროს ან შემდეგ, — ეს ის მოკლე ჩამონათვალია მეთოდის უპირატესობების, რომლის გამოც მეთოდი დაცულია 12 გამოგონების რუსული, ქართული და ევროპული პატენტებით. მაგოთერაპიით მკურნალობისას ჩვენ არ შეგვყავს წამალი, არ ვაკეთებთ ოპერაციას. უახლესი აპარატურით, რომელსაც კანის ზემოდან ვათავსებთ, ორგანიზმში ხდება დადებითი ბიოქიმიური ცვლილებები, რის შედეგადაც უჯრედები ჯერდება ჟანგბადით და ხდება მათი გააქტიურება (რაც გამოიხატება მხედველობის მომატებით). ამიტომაც **1 საათში პაციენტს ემატება მხედველობა,** რომელსაც შემდეგ სჭირდება გამყარება ვარჯიშების სახით. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ შედეგი სტაბილურია ათეული წლების მანძილზე, რაც დასტურდება როგორც სამეცნიერო კვლევებით, აგრეთვე ვიდეომასალით, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტში www.mago.med.ge მაგოთერაპიით მკურნალობისას წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზმის ფარული რესურსების გამოვლინებას, რაც სპეციალური გამოკვლევებით დგინდება. პირველივე გასინჯვისას 98% სიზუსტით ვეუბნებით პაციენტს, რამდენად მოემატება მას მხედველობა (პროგნოზის სახით). პროცედურიდან 1 საათში, უკვე მე-2, მე-3 გასინჯვისას პაციენტს დაპირებული მხედველობა ემატება, მცირდება თვალის გადახრა, ნისტაგმის სიხშირე და სხვ.

მაგოთერაპიის გამოყენებისას მნიშვნელოვანია მხოლოდ პირველივე გასინჯვისას მიღებული პროგნოზი, (რომლითაც ორგანიზმის ფარულ რესურსებს ვადგენთ). გასაგებია ალბათ, რომ შედეგი ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურია და დამოკიდებულია კონკრეტული ადამიანის ორგანიზმის რესურსზე. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მაგოთერაპიით მკურნალობისას არა აქვს მნიშვნელობა არც დაავადების ტიპს და ხანგრძლივობას და არც პაციენტის ასაკს! მნიშვნელოვანია თუ რა პროგნოზს მოგვცემს იგი გასინჯვისას. ჩვენ ვმკურნალობთ პაციენტს და არა დაავადებას!!!

დაავადებები, როდესაც გამოვიყენებთ მაგოთერაპიას, არის: გაზარმაცებული თვალი, სიელმე, ასტიგმატიზმი, ახლომხედველობა, შორსმხედველობა, მაკულოდისტროფია, გლაუკომა, ნისტაგმი, ატროფიულ-დისტროფიული პროცესები და სხვ.

***მიღება მხოლოდ ჩაწერით 12 დან-18 საათამდე 214-30-28; 790-73-30-28; 599 506-507***

R

## შაქრიანი დიაბეტი — გართულებების პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა!

**შაქრიანი დიაბეტით გამოწვეული გართულებების ადრეული დიაგნოსტიკა იცავს პაციენტს ისეთი სისხლძარღვოვანი პათოლოგიებისაგან, როგორიც არის ნეფროპათია, რეტინოპათია, ნეიროანგიოპათია, ინფარქტი და ინსულტი, სწორედ ამიტომ ‘‘ენდოკრინოლოგიის ეროვნული ინსტიტუტი’’ იწყებს აქციას ამ დაავადებათა პროფილაქტიკის მიზნით, პაციენტებს ჩაუტარდებათ შემდეგი გამოკვლევები:**

- ◆ გლიკოზირებული ჰემოგლობინის განსაზღვრა
- ◆ გლოკოზის განსაზღვრა უზმოდ
- ◆ პერიფერიული ნერვული სისტემის გამოკვლევა
- ◆ ქოლესტერინის განსაზღვრა სისხლში
- ◆ ღვიძლის ფუნქციური სინჯები
- ◆ შარდის საერთო ანალიზი
- ◆ ენდოკრინოლოგის კონსულტაცია.

პაკეტის ღირებულება შეადგენს 120 ლარს, თანაგადახდის საფუძველზე პაციენტი იხდის, მხოლოდ 30%-ს ანუ 40 ლარს. ინფორმაციისათვის და პროგრამაში ჩასართავად დარეკეთ ცხელ ხაზზე: (+995 32) 223-81-73

# დაფნა მკურნალია

დაფნის ფოთოლს სამკურნალოდ უძველესი დროიდან იყენებენ. ის დაბლა სწევს წნევას, ხსნის სპაზმებს, ამაგრებს ნერვებს და ამშვიდებს ნერვულ სისტემას, შველის გაცივებას, აუმჯობესებს საჭმლის მონელების პროცესსა და კანის მდგომარეობას, გამოდევნის სახსრებიდან მარილებს.

გახსოვდეთ, დაფნის ფოთლის ნაყენი ისე ძლიერად გამოდევნის ორგანიზმიდან მარილებს, რომ ზოგჯერ იწვევს თირკმელ-კენჭოვანი დაავადების გამწვავებას — გამოიდევნება არა მარტო მარილი, არამედ კენჭებიც კი. სამაგიეროდ, სუსტად მოქმედებს წვნიანში დამატებული დაფნის ფოთლები.

გაგაცნობთ ამ სამკურნალო მცენარის თვისებებს:

— წიწაკა და დაფნის ფოთოლი ერთად — მსუბუქი გამხსნელია.

სახსრებს ასუფთავებს: 30-35ც ფოთოლი დააქუცმაცეთ, დაასხით 300მლ თბილი წყალი, 5 წუთი ადუღეთ. ნახარში ჩაასხით თერმოსში და 5-6 საათი გააჩერეთ. გაწურეთ და მიიღეთ 20-წუთიანი შუალედებით 12სთ-ის განმავლობაში პატარა ყლუპობით. პროცედურა გრძელდება 3 დღე.

ერთკვირიანი შესვენების შემდეგ მკურნალობა გაიმეორეთ. სასურველია, ნახარშის მიღები-



სას ჭამოთ ბევრი ბოსტნეული.

შედეგი შესამჩნევი გახდება 3 კვირის შემდეგ. ფეხებში იგრძნობთ სიმსუბუქეს, გაუმჯობესდება სახსრების მოძრაობა, შემცირდება მუხლებში ხრაშუნი, გაგიადვილდებათ კიბეზე ასვლა.

პირველ წელს პროცედურები უნდა ჩაიტაროთ 3 თვეში ერთხელ, შემდეგ კი წელიწადში ერთხელ. სასურველია, პროცედურების წინ გაიწმინდოთ ნაწლავები, რათა ალერგიული რეაქციისაგან თავი დაიზღვიოთ.

***ცნობისთვის:*** დაფნის ფოთლებით ორგანიზმის გაწმენდა არარეკომენდებულია კუჭის წყლულით დაავადებულებისთვის.

— რევმატიზმის დროს — 1 წილ დაქუცმაცებულ დაფნის ფოთოლს შეურიეთ 2 წილი გამდნარი კარაქი, 30 წუთი გააჩერეთ წყლის ორთქლზე, გააცივეთ და წაისვით მტკივნეულ ადგილზე.

— დაჟეჟილობის, ნაღრძობის, დამბლისა და დაჭიმულობისას ტკივილებს ხსნის და გაჭრილს სწრაფად ახორცებს: 1 კოლოფი დაფნის ფოთოლი (აფთიაქში იყიდება) დააქუცმაცეთ, დაამატეთ 200გ მცენარეული ზეთი, კარგად აურიეთ, გააჩერეთ 1 კვირა, შემდეგ გაწურეთ და წაისვით მტკივნეულ ადგილებზე.

იგივე ზეთი გამოიყენება ქრონიკული ქოლეცისტიტის დროს, მიიღეთ 10-15 წვეთი რძესთან, კეფირთან ან ჩაისთან ერთად დღეში 2-3-ჯერ.

— სტომატიტისა და ღრძილების ანთების დროს პირის ღრუში გამოივლეთ დღეში 2-ჯერ 1 ჭიქა თბილი ნახარში.

# „კამელინის“ მოქმედება ამოუწურავია და უმრავლეს შემთხვევაში გამაოგნებელი

პრეპარატ „კამელინს“ სამედიცინო საზოგადოების მხრიდან ინტერესი და თანადგომა ჯერ კიდევ პრეპარატის ავტორის, ქირურგ, ძაგული მაღლაკელიძის სიცოცხლეშივე ჰქონდა. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან ჩაეყარა საფუძველი პრეპარატზე უდიდეს კლინიკურ ექსპერიმენტულ კვლევებს გამოჩენილ მეცნიერთა და ექიმთა ჯგუფის მხარდაჭერით როგორც საქართველოში, ასევე პოსტსაბჭოთა ქვეყნების სამეცნიერო და სამედიცინო ცენტრებში, რომლის შედეგადაც მტკიცდებოდა პრეპარატის სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედება. მე-7 წელია დამსახურებული ფარმაცევტი, შპს „კრწანისის“ დირექტორი ვაჟა გელბახიანი დაინტერესებულია პრეპარატ „კამელინით“. ის, როგორც პაციენტებს, ასევე საქ. ტექნიკური უნივერსიტეტის, სოხუმის, საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახ. უნივერსიტეტის ფარმაციის სპეციალობის სტუდენტებს, წამალთა ტექნოლოგიის კურსის პარალელურად აცნობს პრეპარატ „კამელინის“ ფარმაკოლოგიურ მოქმედებას.

**ვაჟა გელბახიანი:**

— „კამელინით“ 2006 წლიდან დავინტერესდი, გავეცანი მასზე წარმოებულ ადრეულ და თანამედროვე სამეცნიერო და კლინიკურ კვლევებს, სადაც იკვეთება სიმსივნის საწინააღმდეგო, ანტიბაქტერიული, ანტივირუსული და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია იმუნომოდულატორული თვისებები. მივიჩნევ, რომ „კამელინი“ თვისებებით უნიკალური პრეპარატია, მისი მოქმედება ამოუწურავია და უმრავლეს შემთხვევაში გამაოგნებელი. „კამელინი“ აძლიერებს იმუნური სისტემის მუშაობას და იცავს ორგანიზმს მრავალი დაავადების განვითარებისგან. ამიტომ მისი პროფილაქტიკური მიზნით გამოყენება შესანიშნავია.

თვალი გადავავლე ვაჟა გელბახიანის მიერ ყოველწლიურად სპეციალურად წარმოებულ ჟურნალში პაციენტთა ავადმყოფობის ისტორიებს, ამა წლის იანვრის თვიდან დღემდე მათი რიცხვი 3000-ზე მეტია. დავინტერესდით მათი ჯანმრთელობის ახლანდელი მდგომარეობით. ბატონი ვაჟას ნებართვითა და დახმარებით ჩავატარეთ მონიტორინგი მთელი კვირის განმავლობაში. შეუძლებელია გაგაცნოთ ყველა პაციენტის მდგომარეობა, რომლის საშუალება ალბათ სერიულად მოგვეცემა. ზოგადად, კი „კამელინის“ მოქმედება ინდივიდუალურია, იგი უპირობოდ აუმჯობესებს სიცოცხლის ხარისხს, საგრძნობლად ამცირებს ტკივილს, დადებითად მოქმედებს დაავადების მიმდინარეობაზე. პრეპარატს იყენებენ, როგორც კომპლექსური თერაპიის შემადგენელ ნაწილს, ასევე დამოუკიდებლად, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა ორგანიზმის იმუნური პასუხის ოპტიმიზაცია.

*მ.ჭ. ქუთაისიდან*, დიაგნოზით ფილტვის სიმსივნე, 2 წლის წინ დაიწყო მკურნალობა „კამელინის“ ინიექციითა და კაფსულებით. პირველივე კურსიდან გაუმჯობესდა სუბიექტური მდგომარეობა: შეუმცირდა ინტოქსიკაციის ნიშნები, მოემატა მადა, ენერგია, დაიწყო წონაში მატება და გამოვლინდა ტემპერატურის ნორმალიზაცია. უკვე მეორე კურსიდან კი რენტგენოგრაფიით დადასტურდა მდგომარეობის სარწმუნო გაუმჯობესება. ზედიზედ ჩაიტარა ოთხი კურსი და დღეს სრულიად ჯანმრთელია, შრომისუნარიანი.

*ვ.ჭ,* ხორხის მარჯვენა მხარეში სიმსივნით, გაკეთებული აქვს ოპერაცია, რომლის შემდეგ მდგომარეობა დამძიმდა, კომპლექსური მკურნალობით „კამელინთან“ ერთად მდგომარეობა სტაბილური და საიმედოა.

*ვ.ა.,* ნაღვლის სადინრის სიმსივნით, „კამელინოთერაპიით“ თავს შესანიშნავად გრძნობს, ექოსკოპიური კვლევებით დადასტურდა მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება.

*ხ.მ., რუსთავიდან,* დიაგნოზით მრავლობითი მიოლომა, ამჟამად გადის „კამელინოთერაპიის“ მეორე კურსს, შედეგი იმდენად დადებითია, რომ საბოლოო გამოჯანმრთელება ეჭვს არ იწვევს.

*ლ.ა.,* ყელის ავთვისებიანი სიმსივნით (IV სტადია), ოპერაციის შემდეგ მისი მდგომარეობა უფრო დამძიმდა და უიმედო გახდა. „კამელინის“ ინიექციებით ზედიზედ ჩაიტარა 6 კურსი. შედეგი გამაოგნებელი და დაუჯერებელია. მას შემდეგ 3 წელია გასული, პაციენტი




თავს შესანიშნავად გრძნობს, შრომისუნარიანია.

„კამელინის“ მომხმარებლები არიან აგრეთვე რუსეთის, ევროპისა და ამერიკის მოქალაქეებიც, რომლებიც საქართველოში მცხოვრები ნაცნობების წყალობით ახერხებენ მის მიღებას.

ინდოეთში საქართველოს საელჩოს თანამშრომელი *გ.ლ.,* მადლობას უხდის „კამელინის“ ავტორს. „კამელინის“ სანთლების გამოყენებით ბუასილისგან (3 წლის მაძილზე ყაბზობა, ტკივილები დეფეკაციისას) სრულიად განიკურნა.

პაციენტთა მონიტორინგიდან ირკვევა, რომ „კამელინის“ ინიექცია და სანთლები ერთად დადებით შედეგებს იძლევა ქრონიკული პროსტატიტების დროს პროსტატის ჯირკვლის ფუნქციური მდგომარეობის გაუმჯობესებით, ასევე პროსტატის ადენომების დროსაც. სარწმუნო თერაპიული შედეგებია ოსტეოართრიტით და ოსტეოქონდროზით დაავადებული პაციენტების დროს, კერძოდ ტკივილების კუპირება, უმეტესად გაქრობა, მოძრაობის მოკლე დროში გაუმჯობესება, ასევე მონაცემების ობიექტური დინამიკა.

P.S ქართული წარმოების 5 ფორმის პრეპარატი „კამელინ მ1“ ინიექცია, „კამელინ მ2“ კაფსულა, „კამელინ მ3“ მალამო, „კამელინ მ4“ სანთლები და „კამელინფლუ“ სპრეი გამოიყენება სიმსივნური დაავადებების, ვირუსული და ბაქტერიული ინფექციების, გინეკოლოგიური, პროქტოლოგიური, სახსრების დეგენერაციულ-დისტროფიული და სხვა დაავადებების დროს.

***მოამზადა მაია ცომაიამ***

R

***„კამელინთან“ დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება და კონსულტაცია უფასოა, დარეკეთ: 2-98-57-78; 2-93-20-87; 2-98-62-25 (ოფისი); 2-45-33-68; 2-22-26-68; 2-75-04-08; 599 33 10 89; 599 58 09 07; 577 73 56 51; 599 23 03 33*** **www. camelyn.ge**